საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 2 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №220/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 23 აგვისტოს №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 27 დეკემბრის №220/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 2 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, სასამართლოში სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2018 წლის 20 ივლისს, რომელიც დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში საჩივრის წარმოდგენის დროისთვისაც არ არის გადაგზავნილი სააპელაციო სასამართლოში.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2017 წლის 26 ოქტომბერს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით. 2017 წლის 8 ნოემბერს მოპასუხემ შესაგებელი წარადგინა სასამართლოში. სასამართლო სხდომები გაიმართა 22.03.2018; 22.05.2018; 07.06.2018 წწ პერიოდებში. 2018 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა; -- -- -- -- სასარგებლოდ დაეკისრა -- აშშ დოლარის გადახდა.

2018 წლის 20 ივლისს მოპასუხე მხარემ სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში.

2.2. -- სააპელაციო სასამართლოში საქმე შევიდა 2018 წლის 12 სექტემბერს. 2018 წლის 17 სექტემბერს -- -- ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა 10 დღე.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 23 აგვისტოს №-- საჩივრის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა“.

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, გასნაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეფექტური სასამართლო დაცვის უფლება გულისხმობს, სამოქალაქო სამართალწარმოების მხარეების შესაძლებლობას გამოიყენონ გასაჩივრების უფლება იმ მომენტიდან, როცა მათ შეუძლიათ ეფექტურად შეაფასონ სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებმაც შეიძლება დაარღვიეს მათი უფლებები და კანონიერი ინტერესები.

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 371-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შესვლის შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლო დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 5 დღისა, გადაუგზავნის სააპელაციო სასამართლოს მთლიანად საქმეს, აგრეთვე დამატებით შემოსულ ყველა მასალას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააპელაციო საჩივარი სასამართლოში წარდგენილია 2018 წლის 20 ივლისს, სააპელაციო სასამართლოში საქმე შევიდა 2018 წლის 12 სექტემბერს, საჩივრის გადაგზავნის პერიოდმა სააპელაციო საჩივრის მიღებიდან შეადგინა 1 თვე და 16 დღე, რაც თავის მხრივ შეიცავს დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნებს. თუმცა, 1 თვის და 16 დღის დაგვიანებით საქმის ზემდგომ ინსტანციაში გაგზავნა არ წარმოადგენს ისეთ ვადას, რომლისთვისაც მიზანშეწონილად შეიძლება იქნეს მიჩნეული მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემა. აქვე საყურადღებოა, მოსამართლის შევბულებაში ყოფნის პერიოდი (08.08.2018-05.09.2018 წწ) და

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531

მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეთა სიმრავლე, რისი გათვალისწინებით აღნიშნული პერიოდი არ წარმოადგენს არაგონივრულ ვადას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება, ხოლო ამავე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად არ ჩაითვლება ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალურად შეიცავს ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, თუმცა მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩადენისათვის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 2 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №220/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი